

ეკრანის მარცხენა მხარეს წარმოდგენილია პროგრამის შინაარსი. ერთდროულად შეიძლება მხოლოდ ერთი გვერდის გახსნა. ამისათვის მიიტანეთ ისარი სათანადო ადგილას და მიაწკაპუნეთ. თუ ყველა ბმული არ ჩანს, ვერტიკალურ ღერძთან მიიტანეთ ისარი და გადაწიეთ საჭირო მიმართულებით.



ბმულების გასახსნელად საჭიროა მათზე მიწკაპუნება.





ვიდეოების გასახსნელად მიიტანეთ ისარი გამოსახულების ნებისმიერ ადგილას, ხელი დააჭირეთ თაგუნას მარჯვენა ღილაკს და ჩამოშლილ ფანჯარაში მიაწკაპუნეთ სიტყვაზე „Play". გაითვალისწინეთ, რომ დასრულების შემდეგ ვიდეოჩანაწერი თავიდან იწყება. ამიტომ, როცა იგი ხელახლა დაიწყება, გამორთეთ მარჯვენა ღილაკზე ხელის დაჭერით და სიტყვაზე "Rewind" მიწკაპუნებით. შეგიძლიათ ამის ნაცვლად მიაწკაპუნოთ სარჩევის მომდევნო ბმულს და, როცა ის გაიხსნება, ვიდეო თავისთავად გამოირთვება.

აუდიოჩანაწერების მოსასმენად მიაწკაპუნეთ ეკრანზე გამოსახული აუდიოაპარატურის სამკუთხა ღილაკზე და დაელოდეთ. წინ გადასახვევად ან უკან დასაბრუნებლად მიიტანეთ ისარი ჰორიზონტალურ ხაზზე განთავსებულ ღილაკთან და გადასწიეთ შესაბამისი მიმართულებით.

ტესტები რამდენიმე სახისაა. „სწორია თუ არა?“, „მონიშნდეთ ერთი სწორი პასუხი“, „მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი“ და „უპასუხეთ კითხვაზე და გადაამოწმეთ თქვენი პასუხის სისწორე“. ყველა ტესტი ინტერაქტიულია. მასწავლებელს იქვე შეუძლია სწორი პასუხის გაგება და საკუთარი ცოდნის შეფასება.

ასეთი ტიპის კითხვებზე პასუხის მონიშვნისას ბოლოში იწერება სწორია, თუ არა.



როცა მტკიცებულება არ არის სწორი, უნდა მიაწკაპუნოთ ღილაკზე ”False” და არა ”True”. Correct - სწორია. Incorrect - არასწორია.

ნებისმიერ შემთხვევაში მონიშვნისთანავე ქვემოთ დაიწერება სწორი პასუხი სრულად.



როდესაც მოსანიშნია ყველა სწორი პასუხი, ღილაკზე 

მიწკაპუნებით თითოეული პასუხის ქვემოთ მიეწერება სწორია, თუ არა და არასწორი პასუხები წითლად გამოჩნდება.

ღია კითხვებზე სწორი პასუხის გადასამოწმებლად, მას შემდეგ, რაც თქვენ გაიაზრებთ საკუთარ პასუხს, უნდა მიაწკაპუნოთ ღილაკზე

და გამოჩნდება სწორი პასუხი.